

პროფესიული საგანმანათლებლო
პროგრამების განმახორციელებელ
დაწესებულებებში ინკლუზიური
განათლების უზრუნველყოფის
გზამკვლევი

სპეციალური საგანმანათლებლო
საჭიროების მქონე სტუდენტის
მიღწევების დადასტურება და
დოკუმენტირება

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის მიღწევების დადასტურება და დოკუმენტირება

გზამკვლევი მომზადებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის“ პროგრამის „ინკლუზიური განათლების განვითარების ხელშეწყობა პროფესიული განათლების საფეხურზე“ ქვეპროგრამის ფარგლებში.

გზამკვლევზე მუშაობდა მაია ბაგრატიონი-გრუზინსკი



საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო

2020

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის მიღწევების დადასტურება და დოკუმენტირება

- სრულად/არასრულად დაძლეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის და მოდულის აღიარება/დადასტურება და სწავლის შედეგების ამსახველი დოკუმენტები
- რა შემთხვევაში ითვლება ცალკეული მოდული სრულად დაძლეული და რა შემთხვევაში არა
- ცნობის გაცემის მიზანშეწონილობა
- მოდულის / მოდულების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების ფორმულირება და დოკუმენტირება
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების ასახვა
- საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების ამსახველი ცნობა და მისი დანართი

სრულად/არასრულად დაძლეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის და მოდულის აღიარება/დადასტურება და სწავლის შედეგების ამსახველი დოკუმენტები

პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად (2018), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრულად დაძლევის შემთხვევაში, სტუდენტს ენიჭება პროფესიული კვალიფიკაცია და გადაეცემა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი.

ამავე კანონის თანახმად, შესაძლებელია, სტუდენტის მიერ სრულად დაძლეული ცალკეული მოდულების აღიარება და დაძლეული სწავლის შედეგების დადასტურება. სწავლის შედეგების დაძლევის დასტურად სტუდენტს გადაეცემა სერტიფიკატი და მისი დანართი.

(აღნიშნული ჩანაწერის სრული ტექსტი იხილე დანართი N1 სახით - კანონი პროფესიული განათლების შესახებ; მუხლი N16 - სწავლის შედეგები და დადასტურება)

ამავე კანონით (მუხლი N22 - სამინისტრო; 1 პუნქტი), სამინისტრო ამტკიცებს პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების (დიპლომი, სერტიფიკატი) ფორმებს და ამავე დოკუმენტების დანართებს¹.

ამავდროულად, კანონი პროფესიული განათლების შესახებ, ნათლად აყალიბებს რეგულაციებს იმ შემთხვევისთვის, თუკი სტუდენტმა სრულად ვერ დაძლია პროფესიული მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგები.

პროფესიული განათლების შესახებ კანონის თანახმად, „მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების სრულად დაუდასტურებლობის შემთხვევაში ამ მოდულის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, მოთხოვნის შემთხვევაში, გასცეს ცნობა აღნიშნული მოდულის ფარგლებში დადასტურებული სწავლის შედეგების შესახებ“.

(იხილე დანართი N2 სახით - კანონი პროფესიული განათლების შესახებ; მუხლი N16 - სწავლის შედეგები და დადასტურება).

კომპეტენციის დამადასტურებელ დოკუმენტად განსაზღვრულია **ცნობა**, რომლის გაცემის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს **შესაბამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებას**.

ამრიგად, დასაშვებია, რომ პროფესიული პროგრამის დაუფლების შედეგად, იმ მოდულების გავლის დასტურად, რომელიც სტუდენტმა სრულად დაძლია, მან მიიღოს სერტიფიკატი, ხოლო იმ მოდულების გავლის დასტურად, რომელთა სრულად დაძლივა ვერ მოხდა, სტუდენტმა მიიღოს ცნობა.

მთავარია, სტუდენტი სრულად იყოს ინფორმირებული არსებული შესაძლებლობებისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ და სწავლის დასრულების შემდეგ მიიღოს მისი მიღწევების ამსახველი სრულყოფილი დოკუმენტაცია, მასში ობიექტურად ასახული ინდივიდუალური მიღწევებით. შესაბამისად, შესაძლებელია სტუდენტი ითხოვდეს და იღებდეს იმდენ დოკუმენტს (სერტიფიკატებს და / ან ცნობებს), რამდენი მოდულიც იყო მისი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული.

მოდულის სრულად დაძლივის და სერტიფიკატის გაცემის შემთხვევაში, რომელიც მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტია, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია იხელმძღვანელოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 27 სექტემბრის №204/ნ ბრძანებით - პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის და მისი დანართის ფორმების დამტკიცების შესახებ.

¹ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №204/ნ - პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის და მისი დანართის ფორმების დამტკიცების შესახებ

აღნიშნული მარეგულირებელი დოკუმენტის თანახმად, სერტიფიკატის გაცემაზე უფლებამოსილია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულება ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. აღნიშნული უწყებები სერტიფიკატის და მისი დანართის გაცემისას, ხელმძღვანელობენ ზემოთ ნახსენებ ბრძანებაში მოცემული მოთხოვნებით.

(აღნიშნული ჩანაწერის სრული ტექსტი იხილე დანართი N2 სახით - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №204/ნ - პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის და მისი დანართის ფორმების დამტკიცების შესახებ; დანართი N5 და დანართი N6.)

ხოლო, იმ შემთხვევაში, როდესაც პროფესიული მოდული არასრულადაა დაძლეული და მის დასტურად პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაიცემა ცნობა, კონკრეტული მოთხოვნები ცნობაში ასახული სავალდებულო ინფორმაციის თაობაზე არ არის განსაზღვრული. ამგვარად, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას ენიჭება გარკვეული მოქნილობა, თავად განსაზღვროს აღნიშნული ცნობის ფორმა და მისი დანართი.

მნიშვნელოვანია, პროფესიული პროგრამის დასრულების და ყველა პროფესიული მოდულის გავლის შემდეგ, სტუდენტი იღებდეს მისი მიღწევებისა და კომპეტენციების დამადასტურებელ შემაჯამებელ დოკუმენტს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არასრულად დაძლეულად ითვლება, თუკი სტუდენტის მიერ ვერ მოხდა პროგრამით გათვალისწინებული უკლებლივ ყველა მოდულის სრულად დაძლევა ანუ ამ მოდულებში განსაზღვრული ყველა სწავლის შედეგის მიღწევა.

შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუკი სტუდენტს სირთულეები შეექმნა და ის ვერ გაუმკლავდა თუნდაც ერთი პროფესიული საგანმანათლებლო მოდულის მოთხოვნებს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას **მიღწეული ცოდნის დასტურად სტუდენტი იღებს ცნობას**, რომლის გაცემის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს **შესაბამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებას**.

შეჯამება:

პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცნობა გაიცემა ორ შემთხვევაში:

- ცალკეული პროფესიული მოდულის ბოლოს, იმ შემთხვევაში თუკი მოდული არასრულად არის დაძლეული;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ბოლოს, თუკი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულად არ არის დაძლეული.

ორივე შემთხვევაში, დოკუმენტის გაცემის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას.

რა შემთხვევაში ითვლება ცალკეული მოდული სრულად დაძლეული და რა შემთხვევაში არა

მოდული იმ შემთხვევაში ითვლება დაძლეულად, თუკი სტუდენტმა დააკმაყოფილა მოდულით გათვალისწინებული მოთხოვნები და მოდულის დასრულებისას დაადასტურა ყველა სწავლის შედეგების სრულად მიღწევა.

მოდული დაძლეულად ითვლება თუნდაც იმ შემთხვევაშიც, თუკი სტუდენტისთვის სასწავლო პროცესში შეთავაზებული იყო მთელი რიგი **აკომოდაციები** და მან მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგები დაძლია აკომოდაციის პირობებში. აღნიშნული შესაძლებელია, რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში სტანდარტულად განსაზღვრული სწავლის შედეგების ცვლილება არ ხდება, იცვლება მხოლოდ შედეგების მიღწევის სტრატეგიები.

აკომოდაციებში მოიაზრება სწავლის შედეგების მიღწევისთვის სტანდარტით განსაზღვრული დროის გახანგრძლივება, სასწავლო გარემოს ადაპტაცია, სასწავლო ინსტრუქციების ადაპტაცია, სწავლების სტრატეგიების ცვლილება და ა.შ.

მოდულიკაციაში მოიაზრება სწავლის შედეგების რაოდენობრივი ან თვისებრივი ცვლილება. კერძოდ, კონკრეტული სწავლის შედეგის სრულად გამოტოვება, შესრულების კრიტერიუმის, ან კომპეტენციის პარამეტრის დავიწროება, სტუდენტისთვის მიღწევის დონესთან დაკავშირებული მოთხოვნის დაზუსტება - შემცირება.

მოდულის დაძლევის ალბათობა იკლებს, თუკი სტუდენტისთვის სასწავლო პროგრესის მიღწევისთვის აკომოდაციების პარალელურად ან მათ გარეშე, შეთავაზებული იყო **მოდულიკაციები** - ანუ სტანდარტულად განსაზღვრული სწავლის შედეგების თვისებრივი და / ან რაოდენობრივი ცვლილება.

სტანდარტულად განსაზღვრული სწავლის შედეგების მოდიფიკაციის ანუ ინდივიდუალური სასწავლო მიზნების შემუშავების შემთხვევაში, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სტუდენტისთვის განსაზღვრული მიღწევის დონე სტანდარტით განსაზღვრული მიღწევის დონისგან განსხვავდება, რაც თავის მხრივ მოდულის დაძლევის და შესაბამისად კვალიფიკაციის მიღების შესაძლებლობაში აისახება.

ცნობის გაცემის მიზანშეწონილობა

ცნობის გაცემის შესაძლებლობის დაშვება საქართველოს კანონით პროფესიული განათლების შესახებ, უმნიშვნელოვანესია, რადგან ამ გზით ხაზგასმულია, რომ სტუდენტს თუნდაც არ ჰქონდეს პროფესიული განათლების მოდული სრულად დაძლეული და შესაბამისად, მოკლებული იყოს კვალიფიკაციის მინიჭების და დიპლომით/სერტიფიკატით დადასტურების შესაძლებლობას, სამინისტროს მიერ მხარდაჭერილია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების წარმოჩენა და პროგრესის არსებობის დადასტურება. ამ გზით, სამინისტრო ნერგავს სამართლიან მიდგომას და აღიარებს, რომ მისთვის მნიშვნელოვანი და ღირებულია სტუდენტის მიერ განცდილი ნებისმიერი, სულ მცირე მიღწევაც კი.

მართალია, კანონი პროფესიული განათლების შესახებ სავალდებულოდ არ განსაზღვრავს ცნობის გაცემას და დასაშვებად მიიჩნევს მის უზრუნველყოფას მხოლოდ მოთხოვნის შემთხვევაში, პრაქტიკული მიზნებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ყოველი იმ სტუდენტისთვის, რომელმაც სრულად ვერ დაძლია მოდულით გათვალისწინებული მოთხოვნები, მომზადდეს შესაბამისი ცნობა.

შესაბამისად, რეკომენდებულია პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა აღნიშნული პრაქტიკა როგორც ცალკეულ სასწავლო მოდულთან, ისე სრულ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით უკლებლივ ყველა იმ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთან განახორციელოს, რომელთანაც ცნობის გაცემის საჭიროება დგება.

იმ შემთხვევაში, თუკი სტუდენტს კვალიფიკაცია არ უდასტურდება და დიპლომი არ გადაეცემა, ცნობა წარმოადგენს ერთადერთ საშუალებას, რითიც მოხდება სტუდენტის მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროცესში მონაწილეობის დადასტურება და მიღწეული შედეგების წარმოჩენა.

სტუდენტის მიღწევების წარმოჩენა კი აუცილებელია დამსაქმებელთან სამართლიანი ურთიერთობის დასამყარებლად. აღნიშნული ცნობისა და მისი დანართის საფუძველზე, სტუდენტი შეძლებს დამსაქმებლისთვის საკუთარ შესაძლებლობებზე ობიექტური წარმოდგენის შექმნას, ხოლო დამსაქმებელი, ცნობისა და მისი დანართის ანალიზის საფუძველზე შეძლებს მიუკერძოებლად შეაფასოს ფლობს თუ არა პროფესიული განათლების კურსდამთავრებული მისთვის სასურველ პროფესიულ უნარ-ჩვევებს.

მოდულის / მოდულების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების ფორმულირება და დოკუმენტირება

სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების წარმოჩენისას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება გაცემულ ცნობაში და მის დანართში ასახულ ინფორმაციას, რადგან აღნიშნულმა დოკუმენტმა ერთის მხრივ ობიექტურად, ხოლო მეორე მხრივ, ზედმიწევნით და მაქსიმალური სიზუსტით უნდა ასახოს ყველა ის პროფესიული უნარ-ჩვევა, რომლის დაუფლებაც შეძლო სტუდენტმა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას.

შესაბამისად, მის შექმნაზე პასუხისმგებელ პირს / პირებს არ უნდა გამოეპაროთ ის მცირე პროგრესიც კი, რომელიც სტუდენტმა მოდულის ფარგლებში გამოავლინა და უნდა შეძლონ სწორი ფორმულირებების მიგნებით წარმოაჩინონ სტუდენტის მიღწევის აქტუალური დონე. შესაბამისი დრო უნდა დაეთმოს ჩანაწერის იმგვარ ფორმულირებას, რომ ის აბსოლუტური სიზუსტით ასახავდეს იმას, თუ რას და როგორ - რა ხარისხით და ტემპით, რა ტიპის დახმარებით ახორციელებს სტუდენტი.

თუკი პროფესიული განათლების მასწავლებელი მოდულის მიმდინარეობისას ყოველი სწავლის შედეგის გავლის შემდეგ აჯამებდა სტუდენტის მიღწევის აქტუალურ დონეს და ასახავდა ამას შესაბამის ცხრილში (*იხილეთ დოკუმენტი - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა*), ის სასწავლო მოდულის დასასრულს იოლად შეძლებს სტუდენტის მიერ დაძლეული სწავლის შედეგების თავმოყრას და შესაბამის ფორმატში გადმოტანას.

ყოველი პროფესიული მოდულის ბოლოს, მიზანშეწონილია, პროფესიული მოდულის მასწავლებლის და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთან მომუშავე ინკლუზიური განათლების სპეციალისტების მიერ მოხდეს სტუდენტის მიერ მიღწეული შედეგების შეჯამება და შესაბამისად ასახვა. ცალკეული მოდულის ფარგლებში მიღწეულის შედეგების შეჯამება, შესაძლებელია შემდეგი სახით:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოდულის დასრულების და მიღწეული სწავლის შედეგების ამსახველი ცხრილი

შედეგების ასახვის თარიღი: ----/----/----

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	
-------------------------------------	--

პროფესიული სტუდენტის სახელი / გვარი	
-------------------------------------	--

პროფესიული მოდული	
----------------------	--

სტუდენტის პირადი ნომერი	
----------------------------	--

პროფესიული მასწავლებლის სახელი გვარი	
--------------------------------------	--

მოდულის ხანგრძლივობა	
მოდულის დაწყების თარიღი ----/----/---	მოდულის დასრულების თარიღი ----/----/---
-	
სწავლების ფორმა	
მოდულით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა	

სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგი		დაძლევის დონე
1.		<input type="checkbox"/> სრულად <input type="checkbox"/> არასრულად
2.		<input type="checkbox"/> სრულად <input type="checkbox"/> არასრულად
3.		<input type="checkbox"/> სრულად <input type="checkbox"/> არასრულად
4.		<input type="checkbox"/> სრულად <input type="checkbox"/> არასრულად
5.		<input type="checkbox"/> სრულად <input type="checkbox"/> არასრულად

შენიშვნა: ცხრილში დაამატეთ ან წაშალეთ ხაზები მიღწეული სწავლის შედეგების რაოდენობის გათვალისწინებით.

დასკვნა:

ხელმოწერები

პოზიცია: ----- ---	პოზიცია: ----- ---	პოზიცია: ----- ---
სახელი / გვარი: ----- -	სახელი / გვარი: ----- -	სახელი / გვარი: ----- -
ხელმოწერა: ----- --	ხელმოწერა: ----- --	ხელმოწერა: ----- --

მოცემული ცხრილის შევსებისას, გასათვალისწინებელია შემდეგი:

იმ შემთხვევაში, თუკი სტუდენტს მოდულით გათვალისწინებული კონკრეტული სწავლის შედეგი სრულად აქვს დაძლეული, შესაძლებელია სწავლის შედეგის პირდაპირ კოპირება მოდულის სილაბუსიდან და მის გასწვრივ გრაფაში „დაძლევის დონე“ მონიშვნის განხორციელება იმის მითითებით, რომ მოცემული სწავლის შედეგი **სრულადაა** დაძლეული.

ხოლო, თუკი სწავლის შედეგი არასრულადაა დაძლეული, ინიშნება პასუხი - **არასრულად**. ამ შემთხვევაში, დაუშვებელია სწავლის შედეგების სილაბუსიდან პირდაპირი კოპირება, არამედ სავალდებულოა მათი ინდივიდუალურად, სტუდენტის მიღწევის აქტუალურ დონის გათვალისწინებით ფორმულირება.

ამავდროულად, საყურადღებოა, თუ რა ჩაიწერება დასკვნის ველში. მასწავლებელმა, დასკვნისა და შეჯამების დაწერას გარკვეული დრო უნდა დაუთმოს და აღნიშნულ ველში უნდა ასახოს საკვანძო ინფორმაცია სტუდენტის მიერ სასწავლო მოდულის დაძლევის თაობაზე.

შეჯამების დასაწერად, მასწავლებელს დაეხმარება შემდეგი რეფლექსიის კითხვები:

- სტანდარტულად განსაზღვრული სწავლის შედეგებიდან რამდენი სწავლის შედეგი დაძლია სტუდენტმა სრულად?
- როგორ მოხდა სტუდენტის მიერ მისთვის ინდივიდუალურად განსაზღვრული სწავლის შედეგების დაძლევა? - სტუდენტმა მისთვის ინდივიდუალურად განსაზღვრული სწავლის შედეგები დაძლია სრულად თუ ნაწილობრივ?
- რამდენი სწავლის შედეგი ვერ დაძლია სტუდენტმა?
- რამდენად განსხვავდება სტუდენტის მიღწევის დონე, სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევის დონიდან?

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების ასახვა

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთან მომუშავე სპეციალისტთა ამოცანაა, თავი მოუყარონ პროგრამის მსვლელობისას სხვადასხვა მოდულის ფარგლებში სტუდენტის მიერ დაძლეულ სწავლის შედეგებს და ერთი დოკუმენტის - ცნობისა და მისი დანართის, ფარგლებში თვალსაჩინოდ და სრულად ასახონ სტუდენტის მიერ ათვისებული პროფესიული უნარ-ჩვევები.

ამ ტიპის კონსოლიდირებული დოკუმენტის არსებობა მიზანშეწონილია, რამდენადაც ის ნათელ სურათს შეუქმნის დამსაქმებელს სამუშაო მაძიებლის პროფესიული უნარ-ჩვევების შესახებ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების და მიღწეული სწავლის შედეგების ამსახველი დოკუმენტი

ცხრილი #1

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა							
პროგრამის ხანგრძლივობა							
პროგრამის დაწყების თარიღი		----/----/----		პროგრამის დასრულების თარიღი		----/----/----	
განვლილი მოდულები							
	მოდულის სახელწოდება	კოდი	მოდულის ხანგრძლივობა	დაწყების და დასრულების თარიღი	სწავლების ფორმა	დამლევის დონე	კრედიტები ს რაოდენობა
1						<input type="checkbox"/> სრულად <input type="checkbox"/> არასრულად	
2						<input type="checkbox"/> სრულად <input type="checkbox"/> არასრულად	
3						<input type="checkbox"/> სრულად <input type="checkbox"/> არასრულად	
4						<input type="checkbox"/> სრულად <input type="checkbox"/> არასრულად	
5						<input type="checkbox"/> სრულად <input type="checkbox"/> არასრულად	

6						<input type="checkbox"/> სრულად <input type="checkbox"/> არასრულად
---	--	--	--	--	--	---

პროგრამით გათვალისწინებული ცალკეული მოდულის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგები

ცხრილი #2

სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგი		დაძლევის დონე
1.		<input type="checkbox"/> სრულად <input type="checkbox"/> არასრულად
2.		<input type="checkbox"/> სრულად <input type="checkbox"/> არასრულად
3.		<input type="checkbox"/> სრულად <input type="checkbox"/> არასრულად
4.		<input type="checkbox"/> სრულად <input type="checkbox"/> არასრულად
5.		<input type="checkbox"/> სრულად <input type="checkbox"/> არასრულად

სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგი		დაძლევის დონე
1.		<input type="checkbox"/> სრულად <input type="checkbox"/> არასრულად
2.		<input type="checkbox"/> სრულად <input type="checkbox"/> არასრულად
3.		<input type="checkbox"/> სრულად <input type="checkbox"/> არასრულად
4.		<input type="checkbox"/> სრულად <input type="checkbox"/> არასრულად
5.		<input type="checkbox"/> სრულად <input type="checkbox"/> არასრულად

შენიშვნა: დაამატეთ იმდენი ცხრილი, რამდენი მოდულიც გაიარა სტუდენტმა; ცხრილში დაამატეთ ან წაშალეთ ხაზები, მიღწეული სწავლის შედეგების რაოდენობის გათვალისწინებით.

ხელმოწერები		
პოზიცია: ----- ---	პოზიცია: ----- --	პოზიცია: ----- ---
სახელი / გვარი: -----	სახელი / გვარი: -----	სახელი / გვარი: -----

ხელმოწერა: ----- -	ხელმოწერა: ----- -	ხელმოწერა: ----- --
-----------------------	-----------------------	------------------------

მოცემული ცხრილების შევსებისას, მასწავლებლებისა და შესაბამისი გუნდის მიერ გასათვალისწინებელია შემდეგი:

იმ შემთხვევაში, თუკი სტუდენტს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოდული სრულად აქვს დაძლეული, პირველ ცხრილში - *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების და მიღწეული სწავლის შედეგების ამსახველი დოკუმენტი / ცხრილი*, შესაბამისი მოდულის გასწვრივ გრაფაში „დაძლევის დონე“ ინიშნება - **სრულად**; ხოლო თუკი მოდული არასრულადაა დაძლეული ინიშნება პასუხი - **არასრულად**.

შესაბამისად, თუკი მოდული სრულადაა დაძლეული, დოკუმენტის მომდევნო ნაწილში - *პროგრამით გათვალისწინებული ცალკეული მოდულის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგები*, შესაძლებელია შესაბამისი მოდულის სილაბუსიდან სწავლის შედეგების კოპირება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი მოდული არასრულადაა დაძლეული, დაუშვებელია სწავლის შედეგების სილაბუსიდან პირდაპირი კოპირება, არამედ სავალდებულოა მათი ინდივიდუალურად, სტუდენტის მიღწევის აქტუალურ დონის გათვალისწინებით ფორმულირება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების ამსახველი ცნობა

მოდულის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების ამსახველი ცნობა არ არის მკაცრი აღრიცხვის ფორმა, მას გასცემს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც თავად იღებს გადაწყვეტილებას ცნობაში მოცემული ინფორმაციის და მისი ვიზუალური მხარის შესახებ.

რეკომენდებულია ცნობაში და მის დანართში ასახული იყოს მინიმუმ შემდეგი რეკვიზიტები და ინფორმაცია:

- ინფორმაცია ცნობის გამცემი ორგანოს შესახებ**
 - ❖ ცნობის გამცემი დაწესებულების სრული სახელწოდება (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით)
 - ❖ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების შემთხვევაში, იმ იურიდიული პირის დასახელება და სტატუსი, რომელშიც განხორციელდა სწავლების პროცესი

- ❖ დაწესებულების ლოგო / გერბი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- ❖ სათაური „ცნობა“
- ❖ ადგილი, სადაც გაიცა ცნობა და მისი დანართი
- ❖ ცნობისა და დანართის გაცემის თარიღი (დღე, თვე, წელი)
- ❖ დაწესებულების ხელმძღვანელის სახელი და გვარი (სრულად)
- ❖ დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერა
- ❖ დაწესებულების ბეჭედი (კერძო სამართლის იურიდიული პირის/კერძო სამართლის იურიდიული პირის სახით არსებული შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში – ნებაყოფლობით)

2. ინფორმაცია ცნობის მიმღები პირის შესახებ

- ❖ სახელი და გვარი
- ❖ დაბადების თარიღი (დღე/თვე/წელი)
- ❖ საიდენტიფიკაციო ნომერი ან კოდი (არსებობის შემთხვევაში)

3. ინფორმაცია სასწავლო პროგრამის და განვლილი მოდულების შესახებ

- ❖ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
- ❖ განვლილი მოდულების დასახელება და სარეგისტრაციო კოდი;
- ❖ თითოეული მოდულის ხანგრძლივობა
- ❖ სწავლების ფორმა
- ❖ ცალკეული მოდულით მიღწეული სწავლის შედეგების ჩამონათვალი
- ❖ პირის მიერ ცალკეული მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების ნომერი, თარიღი (დღე, თვე, წელი)
- ❖ ინფორმაცია გადაწყვეტილების მიმღების თაობაზე
- ❖ მითითება ცალკეული მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების სრულად ან ნაწილობრივ მიღწევის შესახებ
- ❖ კრედიტების რაოდენობა სწავლის შედეგების სრულად მიღწევის შემთხვევაში

4. დამატებითი ინფორმაცია

- ❖ ცნობა და მისი დანართები ზემოთ მოცემული მონაცემების გარდა შესაძლებელია შეიცავდეს დაწესებულების მიერ განსაზღვრულ სხვა ინფორმაციას/რეკვიზიტს/მონაცემს, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას

მნიშვნელოვანია, ცნობას თან ახლდეს დანართი (იხილეთ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების და მიღწეული სწავლის შედეგების ამსახველი დოკუმენტი), რომელიც დეტალურად ასახავს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის მიერ

განვიხილოთ მოდულებს, და მიღწეულ სწავლის შედეგებს. ამავდროულად, დანართით დაზუსტდება, რომელი მოდულის და რომელი სწავლის შედეგის დაძლევა მოხდა სრულად ან ნაწილობრივ.

ცნობის შინაარსის ფორმირებაზე პასუხისმგებელი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაცია. ამისათვის, ის იხელმძღვანელებს ყოველი მოდულის დასასრულს პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ გადმოცემული მოდულის დაძლევის და სტუდენტის მიღწევის აქტუალური დონის ამსახველი დოკუმენტით და ცნობის დანართში გადმოიტანს სტუდენტის მიერ დაძლეული სწავლის შედეგები შესაბამისი ფორმულირებებით.

ამავდროულად, არ არის გამორიცხული, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციამ მიზანშეწონილად განსაზღვროს მასწავლებელთა და სპეციალისტთა იმ გუნდის შეკრება, რომელიც წარმართავდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის სასწავლო პროცესს. აღნიშნულ შეხვედრაზე, ადმინისტრაცია უფლებამოსილია კიდევ ერთხელ წახალისოს დისკუსია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შესახებ, იმისათვის, რომ ცნობის დანართში ზუსტი ფორმულირებებით ასახოს სტუდენტის მიერ დაძლეული სწავლის შედეგები.

ამ შემთხვევაში, მიზანშეწონილია აღნიშნული შეხვედრის დაოქმება და ცნობის დამატებით საფუძვლად მითითება.

დანართი N1

კანონი პროფესიული განათლების შესახებ

მუხლი 16. სწავლის შედეგების დადასტურება

1. საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შედეგად პირს ენიჭება შესაბამისად ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3/მე-4/მე-5 დონის კვალიფიკაცია, რაც დასტურდება შესაბამისი დიპლომისა და დიპლომის დანართის გაცემით.
2. დიპლომი, რომელიც გაცემულია იმ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შედეგად, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, გათანაბრებულია სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დიპლომის გაცემის წინაპირობაა პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით დადასტურება.
4. მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შედეგად პირს ენიჭება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 დონის კვალიფიკაცია – ასოცირებული ხარისხი, რაც დასტურდება შესაბამისი დიპლომისა და დიპლომის დანართის გაცემით.
5. პროფესიული მომზადების პროგრამით ან პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება სერტიფიკატითა და დანართით.
6. მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა, მოთხოვნის შემთხვევაში, დასტურდება სერტიფიკატითა და დანართით.
7. მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების სრულად დაუდასტურებლობის შემთხვევაში ამ მოდულის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, მოთხოვნის შემთხვევაში, გასცეს ცნობა აღნიშნული მოდულის ფარგლებში დადასტურებული სწავლის შედეგების შესახებ.

დანართი N2

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №204/ნ - პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის და მისი დანართის ფორმების დამტკიცების შესახებ

დანართი №5 - პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - ცალკეული მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის სერტიფიკატის ფორმა

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. ეს დანართი ადგენს პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – ცალკეული მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის სერტიფიკატის (შემდგომში – სერტიფიკატი) ფორმას.

2. სერტიფიკატის გაცემაზე უფლებამოსილია, შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულება (შემდგომში – დაწესებულება), რომელმაც/რომლის სტრუქტურულმა ერთეულმა/ფილიალმა მოახდინა პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება ან მისი უფლებამონაცვლე ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში – ცენტრი).

მუხლი 2. სერტიფიკატის მონაცემები

1. სერტიფიკატი არის მკაცრი აღრიცხვის ფორმა, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ დამცავ ნიშნებს:

ა) მთელი ზედაპირი დაფარული უნდა იყოს დამცავი (გილოშერული) ბადით, ბადეების სამი სახის ერთდროული გამოყენებით;

ბ) ულტრაისფერი სხივების ქვეშ სერტიფიკატის სახიან მხარეზე დასმული ნიშანი (ლოგო/გერბი), სერტიფიკატის სერიისა და ინდივიდუალური ნომრის გამოსახულება უნდა გამოსცემდეს ლუმინესცენციას.

2. სერტიფიკატის ფორმაზე პოლიგრაფიული წესით აღნიშნული უნდა იყოს:

ა) დამამზადებელი პოლიგრაფიული საწარმოს და დამკვეთის სახელწოდება ინიციალებით;

ბ) საჯაროსამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული რეგისტრაციის ნომერი, სერტიფიკატის სერია

(ლათინური ასოებით) და ექვსნიშნა ინდივიდუალური ნომერი (თანმიმდევრული არაბული ციფრებით);

გ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინიციალები – „სფს“.

3. სერტიფიკატი შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და, დაწესებულების გადაწყვეტილებით, რომელიმე უცხოურ ენაზე/ენებზე.

4. სერტიფიკატის სხვადასხვა ენაზე შედგენის მიუხედავად, გამოიყენება ხელმოწერაზე პასუხისმგებელი პირის ავთენტიკური ხელმოწერა.

5. სერტიფიკატზე უნდა მიეთითოს:

ა) წარწერა „საქართველო“, რომელიც უნდა განთავსდეს სერტიფიკატის ზედა ცენტრალურ ადგილზე;

ბ) დაწესებულების სრული სახელწოდება (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით);

გ) დაწესებულების ლოგო/გერბი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) „სერტიფიკატი“;

ე) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სერტიფიკატის სერია (ლათინური ასოებით) და ექვსნიშნა ინდივიდუალური ნომერი (თანმიმდევრული არაბული ციფრებით);

ვ) პირის მიერ ცალკეული მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების ნომერი, თარიღი (დღე, თვე, წელი), აგრეთვე, ინფორმაცია გადაწყვეტილების მიმღების თაობაზე;

ზ) იმ პირის სახელი და გვარი, რომელმაც მიაღწია ცალკეული მოდულებით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს;

თ) მითითება ცალკეული მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ და კრედიტების რაოდენობა, შესაბამისი მოდულის დასახელება და სარეგისტრაციო კოდი;

ი) დაწესებულების ხელმძღვანელის სახელი და გვარი (სრულად), ხელმოწერა.

კ) ადგილი, სადაც გაიცა სერტიფიკატი;

ლ) სერტიფიკატის გაცემის თარიღი (დღე, თვე, წელი);

მ) დაწესებულების ბეჭედი (კერძო სამართლის იურიდიული პირის/კერძო სამართლის იურიდიული პირის სახით არსებული შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში – ნებაყოფლობით);

ნ) პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სერტიფიკატის სარეგისტრაციო ნომერი.

6. სერტიფიკატი ამ მუხლით დადგენილი მონაცემების გარდა შესაძლებელია შეიცავდეს დაწესებულების მიერ განსაზღვრულ სხვა ინფორმაციას/რეკვიზიტს/მონაცემს, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

7. ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემი წარმოადგენს დაწესებულების სახელწოდებას სერტიფიკატის გაცემის მომენტში.

მუხლი 3. სერტიფიკატის დუბლიკატი

1. სერტიფიკატის დუბლიკატი (შემდგომში – დუბლიკატი) გაიცემა იმ პირზე, რომლის სერტიფიკატი აღარ არსებობს ან გახდა გამოსაყენებლად უვარგისი.

2. დუბლიკატის გაცემაზე უფლებამოსილია ამ დანართის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დაწესებულება.

3. დუბლიკატის შედგენისას ივსება დაწესებულების მიერ დამტკიცებული შესაბამისი სერტიფიკატის ფორმა, რომელსაც დაესმება შტამპი აღნიშვნით „დუბლიკატი“. შტამპი აღნიშვნით „დუბლიკატი“ დაისმის როგორც ქართულ, ასევე იმ უცხოურ ენაზე, რომელ ენაზეც ივსება დაწესებულების მიერ დამტკიცებული შესაბამისი სერტიფიკატის ფორმა.

4. თუ კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით არ დგინდება სერტიფიკატის ფორმისათვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შესაბამისი სრული ინფორმაცია, დუბლიკატის გაცემაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია დუბლიკატში ასახოს მხოლოდ ის ინფორმაცია, რომლის დადასტურებაც შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. დუბლიკატის რეგისტრაცია ხდება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

მუხლი 4. სერტიფიკატის ფორმის, გაცემული სერტიფიკატისა და დუბლიკატის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

1. დაწესებულება ვალდებულია სერტიფიკატის დამტკიცებული ფორმა გამოაქვეყნოს საკუთარ ოფიციალურ ვებგვერდზე და ატვირთოს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. დაწესებულება ვალდებულია სერტიფიკატის დამტკიცებული ფორმის ერთი ეგზემპლარი წარადგინოს სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

2. დაწესებულება ვალდებულია სერტიფიკატის/დუბლიკატის შევსებიდან 10 დღის ვადაში პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ატვირთოს

სერტიფიკატის/დუბლიკატის ელექტრონული ასლი, აგრეთვე, ასახოს შემდეგი მონაცემები: სერტიფიკატის/დუბლიკატისათვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული რეგისტრაციის ნომერი, სერია, ინდივიდუალური ნომერი. დაწესებულება ვალდებულია, აგრეთვე, აღნიშნულ ინფორმაციაში ცვლილების შეტანისას პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახოს შესაბამისი ცვლილება.

დანართი №6 პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - ცალკეული მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის სერტიფიკატის დანართის ფორმა

1. პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის – ცალკეული მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის სერტიფიკატის (შემდგომში – სერტიფიკატი) დანართის რეკვიზიტები ქართულ ენაზე:

1.1. კვალიფიკაციის მფლობელის შესახებ საიდენტიფიკაციო ინფორმაცია

1.1.1 გვარ(ებ)ი:

1.1.2 სახელ(ებ)ი:

1.1.3 დაბადების თარიღი: (დღე/თვე/წელი):

1.1.4 პირის საიდენტიფიკაციო ნომერი ან კოდი (არსებობის შემთხვევაში):

1.2. კვალიფიკაციის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია

1.2.1 კვალიფიკაციის განმსაზღვრელი სწავლის სფერო(ები):

1.2.2 კვალიფიკაციის მიმნიჭებელი დაწესებულების დასახელება და სტატუსი:

1.2.3 იმ იურიდიული პირის (სამუშაოზე დაფუძნებულის) სწავლების შემთხვევაში დასახელება და სტატუსი, რომელშიც განხორციელდა სწავლების პროცესი:

1.2.4 სწავლების ენა (ენები):

1.2.5 მოდულის ხანგრძლივობა (საათებში):

1.2.6 დაშვების წინაპირობა:

1.4. ინფორმაცია შინაარსსა და მიღწეულ შედეგებზე

1.4.1 სწავლების ფორმა:

1.4.2 მოდულის დეტალები: (მაგ., შესწავლილი მოდულები და ერთეულები) და მიღებული ინდივიდუალური ნიშნები/შეფასებები/კრედიტები: (თუ არსებობს, უნდა დაერთოს ოფიციალური ნიშნების ფურცელი (ტრანსკრიპტი)):

1.4.3 შეფასებების სისტემა და, თუ შესაძლებელია, შეფასებების განაწილების ინსტრუქცია:

1.5. დამატებითი ინფორმაცია

დამატებითი ინფორმაცია:

1.6. დანართის დამოწმება

1.6.1 თარიღი:

1.6.2 ხელმოწერა/ხელმოწერები:

1.6.3 თანამდებობა:

1.6.4 ოფიციალური შტამპი ან ბეჭედი (კერძო სამართლის იურიდიული პირის/კერძო სამართლის იურიდიული პირის სახით არსებული შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში – ნებაყოფლობით):

2. სერტიფიკატის დანართის რეკვიზიტები ინგლისურ ენაზე:

2.1. INFORMATION IDENTIFYING THE HOLDER OF THE QUALIFICATION

2.1.1. Family name(s):

2.1.2. Given name(s):

2.1.3. Date of birth (day/month/ year):

2.1.4. Person identification number or code (if available):

2. 2. INFORMATION IDENTIFYING THE QUALIFICATION

2.2.1. Qualification Learning area (s):

2.2.2. Name and status of awarding institution:

2.2.3. The title and status of a legal entity (in case of a work based learning) in which the teaching process was implemented:

2.2.4. teaching Language(s):

2.2.5 Official length of modul (in hours):

2.2.6 Access requirements(s):

2.4. INFORMATION ON THE CONTENTS AND RESULTS GAINED

2.4.1. Mode of study:

2.4.2. Modul details: (e.g. modules or units studied), and the individual grades/marks/credits obtained: (if this information is available on an official transcript this should be used here):

2.4.3. Grading scheme and, if available, grade distribution guidance:

2.5. INFORMATION ON THE FUNCTION OF THE QUALIFICATION

2.5.1. Access to further study:

2.6. ADDITIONAL INFORMATION Additional information:

2.7. CERTIFICATION OF THE SUPPLEMENT


2.7.1. Date:

2.7.2. Signature(s):

2.7.3. Position:

2.7.4. Official stamp or seal (in case of legal entity – institution of private law – voluntarily):

დანართი N3 - ცნობის ნიმუში

 ლოგო ან გერბი	----- ინდივიდუალური ნომერი
თარიღი ----- ცნობისა და დანართის გაცემის დღე, თვე, წელი	ა(ა)იპ ----- ----- ცნობის გამცემი დაწესებულების სრული სახელწოდება
გაცემულია: ----- ადგილი, სადაც გაიცა ცნობა და მისი დანართი	ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით
	დირექტორი ----- ----- ხელმძღვანელის სახელი და გვარი (სრულად)
ცნობა	
გადაეცემა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ----- -----,	
მითითებით	სრული სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის
კურსდამთავრებულს -----;	
კურსდამთავრებულის სახელი გვარი	

დაბადებულს -----;

დაბადების დღე, თვე, ;

პირადი ნომერი -----;

იმის დასტურად, რომ მან გაიარა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამის სახელწოდება ----- და პროფესიული
საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მოდულების ფარგლებში

შეიძინა დანართში N1 მოცემული პროფესიული უნარ-ჩვევები.

დირექტორი -----

სახელი და გვარი (სრულად)

ბეჭედი

ხელმოწერა -----

ცნობის დანართი N1

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების და მიღწეული სწავლის
შედეგების ამსახველი დოკუმენტი

ცხრილი #1

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა							
პროგრამის ხანგრძლივობა							
პროგრამის დაწყების თარიღი		---/---/---	პროგრამის დასრულების თარიღი		---/---/---		
განვლილი მოდულები							
	მოდულის სახელწოდება	კოდი	მოდულის ხანგრძლივობა	დაწყების და დასრულების თარიღი	სწავლების ფორმა	დამლევის დონე	კრედიტების რაოდენობა
1						<input type="checkbox"/> სრულად <input type="checkbox"/> არასრულად	
2						<input type="checkbox"/> სრულად <input type="checkbox"/> არასრულად	

3						<input type="checkbox"/> სრულად <input type="checkbox"/> არასრულად
4						<input type="checkbox"/> სრულად <input type="checkbox"/> არასრულად
5						<input type="checkbox"/> სრულად <input type="checkbox"/> არასრულად
6						<input type="checkbox"/> სრულად <input type="checkbox"/> არასრულად

**პროგრამით გათვალისწინებული ცალკეული მოდულის ფარგლებში მიღწეული
სწავლის შედეგები**

ცხრილი #2

სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგი		დაძლევის დონე
6.		<input type="checkbox"/> სრულად <input type="checkbox"/> არასრულად
7.		<input type="checkbox"/> სრულად <input type="checkbox"/> არასრულად
8.		<input type="checkbox"/> სრულად <input type="checkbox"/> არასრულად
9.		<input type="checkbox"/> სრულად <input type="checkbox"/> არასრულად
10.		<input type="checkbox"/> სრულად <input type="checkbox"/> არასრულად

სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგი		დაძლევის დონე
6.		<input type="checkbox"/> სრულად <input type="checkbox"/> არასრულად
7.		<input type="checkbox"/> სრულად <input type="checkbox"/> არასრულად
8.		<input type="checkbox"/> სრულად <input type="checkbox"/> არასრულად
9.		<input type="checkbox"/> სრულად <input type="checkbox"/> არასრულად
10.		<input type="checkbox"/> სრულად <input type="checkbox"/> არასრულად

შენიშვნა: დაამატეთ იმდენი ცხრილი, რამდენი მოდულიც გაიარა სტუდენტმა; ცხრილში დაამატეთ ან წაშალეთ ხაზები, მიღწეული სწავლის შედეგების რაოდენობის გათვალისწინებით.

ხელმოწერები		
პოზიცია: ----- -----	პოზიცია: ----- -----	პოზიცია: ----- -----
სახელი / გვარი: ----- ----	სახელი / გვარი: ----- ----	სახელი / გვარი: ----- ----
ხელმოწერა: ----- -----	ხელმოწერა: ----- -----	ხელმოწერა: ----- -----

ცნობის დანართი N2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების და მიღწეული სწავლის შედეგების ამსახველი დოკუმენტი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა								
პროგრამის ხანგრძლივობა								
პროგრამის დაწყების თარიღი		----/----/----	პროგრამის დასრულების თარიღი				----/----/----	
განვლილი მოდულები								
	სახელწოდება	კოდი	მოდულის ხანგრძლივობა	დაწყების და დასრულების თარიღი	სწავლების ფორმა	დამოწმების დონე	კრედიტების რაოდენობა	მიღწეული სწავლის შედეგები
1						<input type="checkbox"/> სრულად <input type="checkbox"/> არასრულად		1 2 3 4 5
2						<input type="checkbox"/> სრულად <input type="checkbox"/> არასრულად		1 2 3 4 5
3						<input type="checkbox"/> სრულად <input type="checkbox"/> არასრულად		1 2 3

								4
								5
4						<input type="checkbox"/> სრულად <input type="checkbox"/> არასრულად		1 2 3 4 5
5						<input type="checkbox"/> სრულად <input type="checkbox"/> არასრულად		1 2 3 4 5
❖ სწავლის შედეგების მიღწევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების ნომერი, თარიღი (დღე, თვე, წელი) ❖ ინფორმაცია გადაწყვეტილების მიმღების თაობაზე								
ხელმოწერები								
პოზიცია: -----			პოზიცია: -----			პოზიცია: -----		
სახელი / გვარი: -----			სახელი / გვარი: -----			სახელი / გვარი: -----		
ხელმოწერა: -----			ხელმოწერა: -----			ხელმოწერა: -----		

შენიშვნა: ცხრილში დაამატეთ ან წაშალეთ ხაზები მიღწეული სწავლის შედეგების რაოდენობის გათვალისწინებით.